ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის
ოქმი N4

დაბა ქედა 23 აპრილი, 2024 წელი.

სხდომა დაიწყო 12:00 საათზე.
სხდომა დამთავრდა 12:30 საათზე.

სხდომას თავმჯდომარეობდა ვაჟა აბულაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო,საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
რეზო თურმანიძე - კომისიის წევრი;
ლევან ვერძაძე -კომისიის წევრი;
გოჩა გორგილაძე - კომისიის წევრი;
მარინა ბარამიძე - კომისიის წევრი;
მამუკა გოგოლიშვილი - კომისიის წევრი.

სხდომას არ ესწრებოდნენ:
დავით სირაბიძე - კომისიის წევრი;
შორენა კარანაძე- კომისიის წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი - მუხრან სალაძე;
ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში - ციური ზაქარაძე;
ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი - სულიკო ბოლქვაძე.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრთა სარეგისტრაციო ფურცელი

23.04.2024 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ვაჟა აბულაძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	მარინა ბარამიძე	კომისიის წევრი	
3	მამუკა გოგოლიშვილი	კომისიის წევრი	
4	გოჩა გორგილაძე	კომისიის წევრი	
5	რეზო თურმანიძე	კომისიის წევრი	
6	ლევან ვერძაძე	კომისიის წევრი	
7	დავით სირაბიძე	კომისიის წევრი	
8	შორენა კარანაძე	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით.

დღის წესრიგი:

1.„ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლებისა და ვალდებულებების შესასრულებლად დამატებითი ვადის მიცემის წესის განსაზღვრის თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის (დადგენილება) პროექტი;

მომხსენებელი: ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი - სულიკო ბოლქვაძე

2.„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 სექტემბრის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის (დადგენილება) პროექტი.

მომხსენებელი: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე-ვაჟა აბულაძე

1. **მოისმინეს:** სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის N:გ-95.95240891 განკარგულებით დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლებისა და ვალდებულებების შესასრულებლად დამატებითი ვადის მიცემის წესის განსაზღვრის თაობაზე“. განკარგულების შესაბამისად, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში მოსაზრების წარდგენის ვადად განსაზღვრული იყო 2024 წლის 22 აპრილი (დღის 18:00 საათამდე).

აღნიშნული საკითხი სამართლებრივი კონსულტაციისათვის გადაგზავნილი იყო (წერილის ნომერი: №95-95240891; 29.03.2024) საქართველოს მთავრობის ადმინისტაციის იურიდილ დეპარტამენტში. მიღებული პასუხის თანახმად (წერილის ნომერი: N:03-95241011-95; 10.04.2024) საქართველოს მთავრობის ადმინისტაციის იურიდიული დეპარტამენტი საკითხთან დაკავშირებით განმარტავს, რომ წარმოდგენილი საკითხი უნდა დარეგულირდეს ნორმატიული აქტის ნაცვლად „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტის მიხედვით, რომლის თანახმად, მერი არის უფლებამოსილი მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით გადაწყვიტოს მუნიციპალიტეტის ქონების შემძენის/სარგებლობის უფლებით მიმღების/მართვის უფლებით მიმღების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან განთავისუფლების საკითხი“.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტისაგან მიღებული შენიშვნა წერილობით (წერილის ნომერი: 95-95241063;15.04.2024) ეცნობა ქედის მუნიციპალიტეტის მერს.

სხდომაზე დამსწრე ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსმა სულიკო ბოლქვაძემ აღნიშნა, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მიხედვით მერი თავისი უფლებამოსილების ფარგლებში განახორციელებდა აღნიშნული საკითხის რეგულირებას და მთავრობის ადმინისტრაციის შენიშვნის გათვალისწინებით თანახმაა აღნიშნული დადგენილების პროექტი არ იქნას გატანილი საკრებულოს სხდომაზე.

კომისიის წევრებს საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:
მიზანშეწონლად ჩაითვალოს ქედის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსის სულიკო ბოლქვაძის წინადადება ინიცირებული საკითხის გაწვევის შესახებ. „ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლებისა და ვალდებულებების შესასრულებლად დამატებითი ვადის მიცემის წესის განსაზღვრის თაობაზე“ ინიცირებული საკითხი დარეგულირდეს ნორმატიული აქტის ნაცვლად „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტის მიხედვით.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის N:გ-95.95240892 განკარგულებით დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 სექტემბრის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. განკარგულების შესაბამისად, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში მოსაზრების წარდგენის ვადად განსაზღვრული იყო 2024 წლის 22 აპრილი (დღის 18:00 საათამდე).

კომისიის წევრებს საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:
მიზანშეწონილად ჩაითვალოს „„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 სექტემბრის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ პროექტი განხილული იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა 12:30 საათზე დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის პირველი
კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ციური ზაქარაძე
კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში